პროექტი

საქართველოს კანონი

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 02.07.2007, სარეგისტრაციო კოდი: (160.020.020.05.001.002.895) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახური ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სამსახურის დირექტორი (შემდგომ – დირექტორი) ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამსახურის წინა წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშს.“.

2. მე-10 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭო შედგება 7 წევრისაგან, რომელთაგან 2 წევრი არის საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების თავმჯდომარეები, 1 – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, 1 – საქართველოს გენერალური პროკურორი, 1 – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, 1 – საქართველოს სახალხო დამცველი და 1 – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.“;

ბ) 2^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საბჭოში შემავალი წევრის უფლებამოსილების ვადად განსაზღვრულია მისი შესაბამის თანამდებობაზე ყოფნის ვადა.“.

3. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა არანაკლებ ორი მესამედი. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ ე“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით.“;

გ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. 12^1 მუხლი ამოღებულ იქნეს.

5. მე-13 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი. დირექტორობის კანდიდატს საბჭო დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. დირექტორობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საბჭოს თითოეულ წევრს. საბჭოს წევრს უფლება აქვს, დაასახელოს დირექტორობის მხოლოდ 1 კანდიდატი. სამსახურის დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება 5 წლის ვადით.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. დირექტორის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 6 თვისა, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში – დაუყოვნებლივ დირექტორობის კანდიდატის საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის წარსადგენად საბჭო იწყებს კანდიდატის საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენის პროცესს, რომელიც სრულდება 1 კვირის ვადაში.“;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დირექტორად შეიძლება დაინიშნოს არანაკლებ 30 წლის, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს იურისტად მუშაობის არანაკლებ 5 წლისა და ხელმძღვანელად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.“;

დ) მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ა^1$“ ქვეპუნქტი:

„$ა^1$) თუ იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;“;

ე) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „$გ^1$“, „დ“, „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების შესახებ ინფორმაციას საბჭო აცნობებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს. საქართველოს პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია აღნიშნულის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.“.

6. მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა, საბჭოსთან შეთანხმებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის სამსახურის წინა წლის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;“.

7. 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურის ბიუჯეტის პროექტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინება საბჭოსთან შეთანხმებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2

1. 2026 წლის 1 მაისიდან შეწყდეს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის უფლებამოსილება და მიეცეს კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. 2026 წლის 1 აპრილიდან შეწყდეს იურიდიული დახმარების საბჭოს წევრების უფლებამოსილება. 2 კვირის ვადაში საბჭოს ახალმა შემადგენლობამ უზრუნველყოს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორობის კანდიდატის შერჩევა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენა.

3. შესაბამისმა ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი